სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი
განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **138-138251906**
თარიღი: **09/07/2025**

ადრესატი: მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია

როგორც თქვენთვის ცნობილია, სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოსა და ა(ა)იპ-ს „სითი ინსტიტუტი საქართველო“ შორის 2023 წლის 13 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N132-2023 ხელშეკრულების (კონკურსი CNT230000060) საფუძველზე (შეთანხმება N132-2023-1, 2024 წლის 6 დეკემბერი). კომპანია ახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის საგურამოს, გალავნის, ნავდარაანთკარისა და ჯიღაურის ადმინისტრაციული ერთეულების სოფლების, სივრცის დაგეგმარების გეგმის საპროექტო მომსახურების სამუშაოებს.

ზემოაღნიშნული ტერიტორიების სივრცის დაგეგმარების გეგმის განხილვისა და დამტკიცებისათვის საჭირო შემდგომი პროცედურების განხორციელების მიზნით, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ„ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე -17 მუხლის მე - 5 პუნქტის შესაბამისად, საჯარო განხილვა დაიგეგმა 2025 წლის 22 აგვისტოს 12:00 საათზე, მისამართი: მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრი - ქ. მცხეთა, სამხედროს ქუჩა №9.

გთხოვთ, უზრუნველყოთ საჯარო განხილვის ჩატარების თაობაზე მერიის/საკრებულოს შესაბამისი სამსახურების/კომისიებისა და მოსახლეობის ინფორმირება და დასწრება. განხილვაზე დასწრებისა და მოსაზრებების/შენიშვნების წარდგენის შესაძლებლობა აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ განცხადება გამოქვეყნდეს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ პლატფორმაზე და საინფორმაციო დაფაზე, რომელიც ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის.

დანართი (1 გვერდი).

ზურაბი წიკლაური

სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების
სააგენტო-უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი